91

ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 29 № 159

წელიწადი მეორე

ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 29 № 159

ფ ა ს ი 40 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

ს...აზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ...ლი... დ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და სალამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

27 აგვისტოს, 5 საათზე ნაშუადღევს უეცრათ გარდაიცვალა ნოტარიუსი

ივლიანე გრიგორის ძე ანჯაფარიძე,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ ქვრივი მარიამ გიორგის ასული შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7 საათზე (ახალი სტილით). ცხედრის გამოსვენება ბინიდათ საფიჩხიის სასაფლაოზე მოხდება პარასკევს, 30 აგვისტოს, 5 საათ. სალამოს (ახ. სტ). 1—2

27 აგვისტოს, 5 საათზე ნაშუადღევს უეცრათ მოსწყდა ცხოვრებას

ივლიანე გრიგორის ძე ანჯაფარიძე,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ ძმა მისი კონსტანტინე გრიგორის ძე ანჯაფარიძე. პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე სალამოს 7 საათზე, ცხედრის საფიჩხიის სასაფლაოზე გასვენება დანიშნულია 5 საათზე, (ახალი დროით), პარასკევს 30 აგვისტოს. 1—2

27 აგვისტოს, 5 საათზე ნაშუადღევს უეცრათ გარდაიცვალა ნოტარიუსი

ივლიანე გრიგორის ძე ანჯაფარიძე,

რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას მიცვალებულის კანტორის მოსამსახურეები. პანაშვიდი ყოველ დღე, საკუთარ ბინაზე სალამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება 30 აგვისტოს. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან, თფილისის ქუჩ., საფიჩხიის სასაფლაოზე. 1—2

კბილის ექიმები

მ. ი. ახვლედიანი და

ო. დ. პრუშლიაკოვა

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და სალამოს 5 ს.—7 .. მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ე ქ ი მ ი

ზ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და სალამოს 6-დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). ა.

იყიდება სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის“ რედაქციაში.

Продается ящик для художника из орѣховаго дерева. краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана“.

იყიდება ერთი ცხენი ქართველ ცხენოსანთა მეორე პოლკისა, წითელი ფერისა, 7 წლისა. პირობების გაგება შეიძლება პოლკის შტაბში ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე, ყოფილ ხაპიორის პოლკის სადგომში. 3—3

## ქუთაისი 29 აგვისტო.

**მთავრობა და კანონები.** მთავრობა ისე წარმოუდგენელია თუ სახელმწიფოს არა აქვს კანონები: მოქმედება მთავრობის უნდა იყოს ყოველთვის კანონიერი და მიზანშეწონილი, მაგრამ თუ სახელმწიფოში კანონები არ არის, მიზანშეწონილი და აზრიანი მოქმედება ყოვლად შეუძლებელია.

მთავრობამ არ იცის რა უნდა გააკეთოს: მას არა აქვს თავის იურიდიულ-სახელმწიფოებრივი კოდექსი, სახელმწიფოსა და სოციალიზმის პრინციპების შორის არ არის არავითარი კავშირი: ეს ჩვენებურმა სოციალისტებმა კარგად დაინახეს სამშობლოს დაცვისა და ჯარის დისციპლინის საკითხებში.

მაშასადამე: სოციალიზმის „იურისპრუდენცია“ მთავრობისათვის უსარგებლოა: თუმცა მთავრობა სოციალისტურია, მაგრამ სახელმწიფოს სოციალიზმის მეგობრობა არ უყვარს.

სახელმწიფო მხოლოდ **ეროვნულ-ისტორიული** ორგანიზაცია და მას უნდა ჰქონდეს თავის სახელმწიფოებრივი - მე და კანონები ისტორიულ პირობებისა და ეროვნულ თავისებურობის შესაფერი. ეხლა შევიხედოთ სამინისტროებში: როგორ არის აწყობილი სახელმწიფო იურიდიულად, ფორმალურად? სწორია თუ არა დღევანდელი მთავრობის ლოგიკა? ევროპიული და კულტურულია თუ არა საქმეების წარმოება?

ჩვენი მოთხოვნილება **ელემენტარულია**: ჩვენ გენიოსობას და დიდაზრიანობას არ ვთხოულობთ. ბისმარკები და გლადსტონები, ჩვენში რომ არ არიან. - ეს ჩვენც კარგად ვიცით.

მაგრამ სახელმწიფო თუ არსებობს, მთავრობა ყოველთვის პასუხის მგებელია ერის წინაშე: მთავრობას არა აქვს უფლება პარტიულ თვითნებობისა და ელემენტარულ სახელმწიფოებრივ პრინციპების დარღვევის.

მთავრობის ყოველივე თვითნებობა და უვიცობა სახელმწიფოში, სადაც უნდა იყოს, იწვევს აჯანყებას, ხალხისა და ინტელიგენციის უკმაყოფილებას.

ჩვენში მთავრობის მოქმედება იმდენად მოკლებულია სახელმწიფოებრივ აზრსა და ლოგიკას, იმდენად სატრაპულია, რომ მოთმინება ყოვლად შეუძლებელია: ის, რაც ჩვენში ხდება, საფრანგეთსა ანუ გერმანიაში, რომ ხდებოდეს, მთავრობა ათასჯერ იქნებოდა ჩამოგდებული.

ჩვენში მოთმინებას საზღვარი არა აქვს. მთავრობა ყოველდღე უსამართლოდ იქცევა, ჩვენ ვითმენთ და ვითმენთ. აი **ფაქტები**: კაცი „სამინისტრო სკოლაში“ ათი წლის განმავლობაში გამგეთ იყო დღეს იგი თხოულობს ადგილს საანბანო განყოფილებაში,—მას არ აძლევენ.

მეორე: კაცს უბრალო, მხოლოდ სოფლის მასწავლებლის წოდება მიუღია, დღეს იგი პარტიის წყალობით უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის გამგეთ არის.

კიდევ ფაქტი: კაცს სამოსწავლო ინსტიტუტი გაუთავებია, ძველი მთავრობა მას მასწავლებლობას აძლევდა მე-4 კლასამდე, დღეს მას ეუბნებიან უფლება არ გაქვსო, კანონში თქვენ შესახებ არაფერი, წერიაო და სხვა...

მაგრამ ნება გვიბოძეთ ერთი: რომელ კანონზე ბრძანებთ? თუ რუსეთის იმპერიის კანონებით ხელმძღვანელობთ, აბა სად წერია „დეიდაშვილსა“ „მამიდაშვილებსა“ და პარტიის ამხანაგებს ადგილი მიეცეს საქართველოს სამინისტროში? აბა სად, რომელ წლის რუსეთის განკარგულებაში წერია, რომ გერმანეთის **უნივერსიტეტის** (არა სახელმწიფო) დოქტორი საქართველოში უნივერსიტეტის პროფესორად უნდა იყოს? აბა სად, რომელ კანონში წერია, რომ, ერთი კაცი ღებულობდეს ოთხ ჯამაგირს იმ დროს, როდესაც მას არა აქვს საშუალება აასრულოს ოთხი კაცის მოვალეობა?

ჩვენ გვესმის უსასყიდლოდ საზოგადო მოღვაწეობა, შრომა და სხვადასხვა საქმის გაკეთება, როდესაც ადამიანს ერთი ადგილიდან ჯამაგირი ეძლევა: ამას აქვს მორალური ღირებულება და გმირული სახე, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენებურ სოციალისტების სახელმწიფო მოღვაწეობაში მორალი ღებულობს ჰოტენტოტურ ხასიათს — და გმირობას კი თავი დავანებოთ.

გმირობა გულწრფელობის და ენერგიის საქმეა. სოციალისტების აზრით კი ქვეყანას ამოძრავებს კუჭი: სწორედ ამიტომ ჩვენში გონების და შემოქმედების ადგილს იჭერს გაძღომის სურვილი და პარტიული კარიერის „იდეა“.

## ჯარი უმთავარსარდლოთ.

დედა მიწის ზურგზე არ არის ისეთი სახელმწიფო, რომლის შეიარაღებულ ძალას-ჯარს მთავარ-სარდალი არ ჰყავდეს. საქართველოს ლაშქარში სამხედრო მინისტრის ბრძანებით გაუქმებულია ჯარის მთავარსარდლის თანამდებობა.

არ ვიცით როგორი თვალთა ხედვით და მოსაზრებით იხელმძღვანელაშვ. სამხედრო მინისტრმა ზემოაღნიშნულ ნაბიჯის გადადგმის დროს და ამიტომ ჩვენ არ შევეხებით არსებითად ბ. მინისტრის მოქმედებას.

ვინ არის მთავარსარდალი ჯარისთვის? მთავარ სარდალი ჯარის თავია, იგი ჯარის უახლოესი მესაიდუმლე-ხელმძღვანელია. მთავარ სარდალმა იცის ჯარის სულიერი განწყობილება, ტრადიცია, რა დროს რა ეჭირვება ლაშქარს, რა ძალას წარმოადგენს ესა თუ ის სამხედრო ნაწილი.

მთავარ სარდლის თანამდებობის გაუქმება გაოცებას გამოიწვევს მხედართა შორის და ეს დაბადებს უკმაყოფილებას.

ძველ საქართველოში როცა გმირი მეფენი თითქმის ჯარის კაცის მოვალეობას ასრულებდენ ე. ი. მუდამ ჯართან იყვენ და ამრიგად დაახლოვებულნი იყვნენ ჯართან, ომებს თვით ხელმძღვანელობდენ, ასეთი მეფენიც კი არ სცნობდენ შესაძლებლად ჯარის მთავარ სარდლის მოვალეობის გაუქმებას და საქართველოს ჯარს მუდამ ჰყავდა დიდი სარდალი!

დღევანდელი ჩვენი მთავრობა და თვით ბ. სამხედრო მინისტრი ისე შორს არიან ჯარიდან როგორც ცა დედამიწაზე, რადგან მათ ჯარის ცოტა გაეგებათ.

ასეთ დროს ისპობა დიდი სარდლის თანამდებობა, მერე რა მოგველის ამით?

მაგრამ ნუ ვიქნებით მწარე მოსალოდნელობის წინასწარმეტყველნი და შევეხოთ იმ მოვლენას რაც უკვე მოხდა.

საჩხერის ჯარის უფროსი რამდენჯერმე მოხსენებით ეწვია დედაქალაქში მთავრობას: აუწყა თუ რა შედეგი მოჰყვება ჯარის ერთ ადგილას დიდხანს გაჩერებას და სთხოვა მაშველი ჯარი, ოპერაციების გასაგრძელებლად. მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ოპერაციები განახლებულიყო, მხოლოდ სახალხო გვარდიის შტაბმა

# დღეს.

### წერილები.

მეთაური—მთავრობა და კანონები.
ირა—ჯარი უმთავარსარდლოთ.
შ. კარმელი—შუალამის არიები.
თ. ხუსკივაძე—იმედი.

### ცნობები.

საქართველოს და ადერბეიჯანის საზღვრების შემუშავება. ნავთლუღში აღმოაჩინეს დიდი სამხედრო იარაღი და მასალები. თბილისში აღმოაჩინეს ბონების საექსპედიციო ქარხანა. სოფ. ხრეითში (შორაპნის მაზრა) მთავრობის ჯარმა არეულობა ჩააქრა.

მსჯელობა დაიწყო, წავიდეს თუ არა ოსეთშიო.

ამის გამო საქმე დღესაც დაბრკოლებულია და ვინ იცის რა სამარცხვინოთ დამთავრდება საჩხერის ოპერაცია და რა ბოროტებათ წარმოდგება იგი მომავალ თაობისთვის.

ეს მოხდა იმიტომ, რომ ჯარს თავი არა ჰყავს.

სად გაგონილა რომ ჯარის შტაბი მსჯელობდეს ოპერაციების, იმ ოპერაციების შესახებ, რომელიც უმაღლესმა მთავრობამ განიხილა, ჯარი აღმასრულებელი ძალაა. უბრძანებს მთავრობა და მან მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა მოიყვანოს სისრულეში.

როდესაც მთავარი სარდალი არ არის მაშინ ვინ უნდა უხელმძღვანელოს და ადევნოს თვალ ყური საოპერაციო საქმეებს? სამხედრო მინისტრმა, რომელმაც არაფერი იცის სამხედრო საქმის? ნუ თუ ასეთ მდგომარეობაში მიზანშეწონილია მთავარსარდლის თანამდებობის უარყოფა?

არა და არა. საქართველოს ჯარი ნორჩია, იგი ახლა დგება ფეხზე და ამგვარი ექსპერიმენტები მისთვის დამღუპველია.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ფრიად სერიოზულ გარემოებას შესაფერ ყურადღებას მიაქცევს პარლამენტის სამხედრო სექცია. და ჯარს დაიხსნის ხიფათისაგან, რომელიც მას მოელის უცოდინარ ხალხის მიერ გადადგმულ ნაბიჯების გამო.

**ირა.**

## პრესის სახით.

ჩვენც დიდი ხანია ვიცით ის თუ რა პატიოსანი კალმის პატრონი ხალხია „მეგობრელები“. ჩვენც კარგა ხანია ვიცით ის თუ როგორი უხამსობით ხასიათდება სოციალ-ფედერალისტების გამოსვლა, განსაკუთრებით მაშინ როცა ეს გამოსვლა ეკუთვნის ეროვნულ-დემოკრატებს და გუშინდელ მათს მორიგ „სიმფონიასაც“, ამიტომ უყურადღებოთ გაუშვებდით, მაგრამ თუ დღეს რამესა ვსწერთ, ვსწერთ იმიტომ რომ გვინდა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვათ იმ, ხანდახან სიცილის მომგვრელ, უშნო „ერთგულებას“, რომელსაც ისინი ჩვენი მთავრობის (უფრო კი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის) მიმართ იჩენენ.

ბატონ ვასილ წერეთლის ფარცხანაყანევში „ბლოკის“ მხილებამ და ამ „ბლოკისავე“ დამარცხებამ გააწიწმატა „მეგობრელები“ და მოუხმობს რა მილიციას, გაჰყვირის: „სად იყო სოფლის ადმინისტრაცია. ნუ თუ არ ესმის მას თავის მოვალეობა“-ო.

და სიხარული, მოსვენება და თავბრუდასხმა ფედერალისტებისა (განსაკუთრებით ქუთაისლებისა) ამ საბედნიერო „ბლოკის“ შეკვრით იმდენათ მნიშვნელოვანია, ხოლო კალამი მათ იმდენათ უხამსია, რომ მოხუც მუშაკს ბ. ვასილ წერეთელს თავის „წერილის“ ბოლოში ხულიგანს უწოდებენ.

ასე იქცეოდა ძველი მთავრობის დროს პრისტავი ბიბიკოვი, როცა ხალხში მოსიარულე ვინმე მუშაკის გამოსვლა გამოეპარებოდა პოლიცია—სტრაჟნიკებს დატუქსავდა და საჭირო დანოსს წარადგენდა იქ საცა ჯერ იყო.

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

სახალხო გვარდიის მობილიზაციისათვის ანარქიის ჩაქრობის მიზნით მთავრობამ დაადგინა შინაგან საქმეთა მინისტრს 1 მილიონი მანეთი მიეცეს 10 მილიონიან ფონდიდან.

— სახელმწიფო კანტროლიორის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა გაუქმდეს კავკასიის ფრონტის ყოფილი საგანგებო განყოფილება და შეეწყვიტოს მას კრედიტების ძლევა.

— რუსთა ეროვნულ საბჭოს პროტესტი რუსების ჯარში გაწვევის შესახებ უყურადღებოდ დასტოვა, რადგანაც ჯარში გაწვევა ხდება არა სუბიექტიური სურვილით, არამედ ობიექტიურ პირობების მიხედვით.

— მიწადმოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა, რომ წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლა იქნეს აღიარებული სახელმწიფო სკოლად, რომლისთვისაც გადაიდოს 31,000 მან.

— სასწავლებლების ბინები სავსებით იქნეს განთავისუფლებული სხვა დაწესებულებებისაგან.

— 10 მილიონიან ფონდიდან სახალხო განათლების მინისტრს მიეცეს 9, 100 მან. თბილისის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

— შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს დაუყოვნებლივ გაატაროს ცხოვრებაში ქვეშევრდომობის კანონი.

— ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენებით გერმანიაში გასაგზავნ სავაჭრო კომისიისთვის გადაიდო 47,000 მარკა.

## საქართველოს და ადერბეიჯანის საზღვრები.

განჯიდან იტყობინებიან, როგორც გამოირკვა, ადერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგატები სტამბოლის კონფერენციაზე მოითხოვენ ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის საზღვრების დაწესებას: ბორჩალოს მაზრის ფარგლებში ყარსის რკ. გზის ხაზით სად. შაგალიდან სოღანლუღის ხიდამდე, შემდეგ მდ. მტკვრით მე 300 ვერსამდე და იქიდან ბაქოს რკინის გზით ევლახის ხიდამდე.

## სამხედრო იარაღის და მოწყობილობის ათმოჩენა:

24 აგვისტოს შინაგან სამინისტროსთან არსებულმა განსაკუთრებულმა რაზმმა სად. ნავთლუღში აღმოაჩინა 7 ვაგონი სამხედრო მასალა 1000 ფუთი ქერი, სამხედრო ტანისამოსი, 3000-მე წყვილი საინტენდანტოს ჩექმა, ერთი ვაგონი გაზეთის ქაღალდი და ბევრი სხვა ნივთები 5 მილიონ მან. ღირებული. გამოძიება წარმოებს.

## თათბირი ნავთის მრეწველობაზე.

სათბობი მასალის თათბირმა მოისმინა გზათა მიმოსვლის სამინისტროს ტეხნიკურ განყოფილების უფროსის ინჟ. კრანცის მოხსენება საქართველოში ნავთის მრეწველობის განვითარების შესახებ. მომხსენებელმა წამოაყენა კერძო ინიციატივის გაძლიერებისკენ მიმართული რამდენიმე დებულება. მათ შორის: მთავრობის მიერ ჯარით დაცვა ნავთის სამრეწველოებისა და აგრეთვე უზრუნველყოფა, სურსათით და საჭირო მასალით, ზარალის ანაზღაურება მტკიცე ფასების შემოღებით და სხვა. თათბირმა გაიზიარა მომხსენებლის დებულებანი, ხოლო ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საერთო ხასიათის გარანტიაზე ლაპარაკი შეუძლებელია და შეიძლება იქნეს განხილული ხოლოდ გარანტიის საკითხი ცალკე შემთხვევებში.

# უცხოეთი.

## ბაქოს ფრონტზე.

უკანასკნელი ცნობა.

**გერმანიის საელჩოს ცნობა ბაქოს შესახებ 22 აგვისტო.**

ოსმალოს ხელშია რკინის გზა ბალაჯარამდე. მატარებლებით მიმოსვლა წესიერად სწარმოებს სად. ალიატამდე, იმის იქით მხოლოდ ღამ-ღამე. ნავთის სამრეწველოები ოსმალთა ხელშია და მცირედაა დაზიანებული, სამრეწველოებს თავს დასტრიალებენ ბაქოს მფრინავები და ყუმბარებით დაზიანებას უპირებენ. ოსმალთა არტილერია ბაილოდან და ნახევარ კუნძულ ზიხიდან ბაქოს ნავთსადგურს უშენს და დაღუპა ინგლისელთა ერთი გემი.

## უკრაინა

სურსათის გაცვლა-გამოცვლა უკრაინასა და გერმანეთს შორის.

27 ივლისიდან 1918 წ. უკრაინიდან გერმანიაში გაზიდულია 6120 ვაგონი საქონელი. მათ შორის 1688 ვაგონი პური, 3729 ვაგონი სხვა სურსათი და 703 ვაგონი ნედლი მასალა. გერმანიიდან უკრაინაში შემოზიდულია 14336 ვაგ. საქონელით: 13830 ვაგ. ნახშირი, 2 ვაგ. ზეთი და 504 ვაგონი სხვადასხვა საქონელი.

ეიხგორნის მკვლელის ჩამოღრჩობა

კიევში გერმანელებმა საჯაროთ ჩამოაღრჩვეს ეიხგორინის მკვლელი დონცოვი.

ბრესტის ხელშეკრულების პირობების გადათვალიერება.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბერლინში ახლო მომავალში გადათვალიერებულ იქნება ბრესტის ხელშეკრულების პირობები. მიზანი: რუსეთის ვალდებულებათა შემსუბუქება. ამის გამო კიევიდან წავიდა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

## რუსეთი.

— მოსკოვში გაძლიერდა, განსაკუთრებით ნიკოლოზის დახვრეტის შემდეგ, მონარქიული აგიტაცია. მონარქისტები აყენებენ მიხეილ ალექსანდრეს ძეს კანდიდატურას რუსეთის მეფის ადგილზე.

— მიღებულ ცნობებით ველიკოროსია სრულიად მოწყვეტილია მთელ ქვეყანას. ტელეგრაფი მუშაობს მხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრადს შუა.

— ლონდონში სწარმოებს მოლაპარაკება რომანოვების ოჯახის ისპანიაში გადაყვანის შესახებ. ორი სახელმწიფო უკვე დასთანხმდა რომანოვების ისპანიაში გადაყვანას.

— მიღებულ ცნობებით საბჭოთა მთავრობა გადადის კრონშტადში. იუწყებიან აგრეთვე, რომ ლენინი სცხოვრობს მალულათ. მას ჰქონდა 12 ბინა ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში და ზედიზედ ერთ სახლში არ იძინებდა. ამ ჟამად ლენინი მიემგზავრება კრონშტადში, სადაც გადადის აგრეთვე მთელი სახალხო კომისარიატის შემადგენლობა.

## უკრაინისა და ველიკორუსეთის კონფლიქტი

კიევში საზავო კონფერენციაზე რაკოვსკიმ საბჭოთა დელეგაციის სახელით განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველივე მოლაპარაკებას სწყვეტს უკრაინასთან. კონფლიქტის მიზეზი შემდეგია: განსახილველი იყო საკითხი საზღვრების შესახებ. უკრაინის დელეგაცია ეყრდნობოდა რა — თვითგამორკვევის პრინციპს, კითხულობს დეკლარაციას დონის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. რაკოვსკიმ ამაზე პროტესტი განაცხადა და მოითხოვა პლენარულ სხდომის გახსნა. უკრაინელებმა უარი სთქვეს. მაშინ რაკოვსკიმ განაცხადა, რომ პლენუმის მოწვევამდე საბჭოთა დელეგაცია ყოველივე მუშაობას სწყვეტს კომისიებში. ამ კონფლიქტს აძლევენ დიდ მნიშვნელობას. საბჭოთა დელეგაციის ნაწილი მოითხოვს მოსკოვში წასვლას.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**ქუთაისის** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა თავის რწმუნებულის ხ. საყვარელიძის საშუალებით პირობა შეკრა ვილაც კოკოევთან (ტომით ოსია) გაუცვალოს 2000 ფუთი შაქარი 20 ვაგონ სიმინდში, როგორც სარწმუნოთ გადმოგვცეს კოკოევს განუცხადებია, რომ სიმინდი მას შეუძლია ფუთი 12 მანეთად, ოსში ჩამოტანით ჯდება 25 მანეთად. ფუთი შაქარი კი თერგის ოლქში ღირს 1,500 მანეთად ფუთი. ამ ფაქტებს ყურადღება უნდა მიექცეს ვისიც ჯერ არს და უნდა ნაბიჯი გადადგას, რომ შაქრის სიმინდში ამნაირად გაცვლა არ მოხდეს.

✦ მიმოსვლის აღდგენა ფოთსა და სევასტოპოლს შუა. გერმანიის მისიამ მოაწყო მიმოსვლა ფოთსა და სევასტოპოლს შუა. სევასტოპოლსა და ფოთს შუა ივლის ერთი გემი. ფოთიდან გემი გავა ოთხშაბათობით და შეივლის ყველა პორტებში.

✦ ოსმალეთის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლები თფილისში ჩამოვიდა.

✦ გედევანიშვილის რაზმი სამეგრელოში. 27 აგვისტოს გედევანიშვილის რაზმი თფილისიდან სამეგრელოში გაემგზავრა, იქაურ ბოლშევიკების ბანდების წინააღმდეგ სამოქმედოთ.

✦ გუბ. კომისრის თანაშემწე ლ. გრიგოლია ლეჩხუმიდან უკვე დაბრუნდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ **ერობის არჩევნების გარშემო.** ქუთაისის მაზრის ერობის საარჩევნო კომისიამ შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა ტყიბულის რაიონის კომისარს: საჩქაროდ გვაცნობეთ შეიძლება თუ არა ამ მოკლე ხანში თქვენ რაიონში მოხდეს ერობის არჩევნები. ასეთივე მიწერილობა გაეგზავნა ხონის კომისარს.

✦ მუშათა შორის. შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს ქუთაისის გუბ. შრომის კომისარს, რათა მან მიიღოს ზომები, რომ დაცული იქნას მუშათა დამცველი კანონები.

✦ დამატებითი ჯამაგირები. ქალაქის

გამგეობამ, რუმათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოს აცნობა, რომ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ ერთდროული დახმარება მიეცემათ ივლისში სიძვირის გამო, აგვისტოში მიეცემათ თუ არა ასეთი დამატებითი ჯამაგირი ამის შესახებ საბჭოს დადგენილება არ გამოუტანია.

✦ არჩევნების გარშემო. ქუთაისის სამაზრო საერობო კომიტეტი სთხოვს ქალაქის გამგეობას, გადასცეს მას ყველა საქმეები საერობო არჩევნებისა და აგრეთვე გამოიანგარიშოს, თუ რამდენი ხმოსანი რომელი სიით გავიდა.

✦ პურის შესყიდვა უკრაინაში. გერმანიის დელეგაციამ მოაწყო პურის ყიდვის საქმე უკრაინაში. პურის ნაწილი დაეთმობა საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებლებს, ნაწილი კი მოხმარდება საქართველოში მყოფ გერმანიის ჯარებს.

✦ თხოვნა. როგორც ვიცით ქალაქის საბჭოს დადგენილებით ყველა დაწესებულებები უნდა იხურებოდეს ღამის 11 საათზე, სათბობ მასალის კრიზისის გამო. ამისათვის ქუთაისის საკრებულოს მამასახლისთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ დრო განათებისა საზოგადო საკრებულოში გაგრძელდეს ღამის 2 საათამდის.

✦ 100,000 მანეთის სესხი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, სთხოვოს მთავრობას, რომ ქუთაისის თვითმართველობას მისცეს სესხათ 100,000 მანეთი, ეპიდემიასთან საბრძოლველათ, იმ გარანტიით, რომ იგი შემდეგ საგანგებო გადასახადით გადახდებათ მოქალაქეებს.

✦ კრება. დღეს, დილის 9 საათზე ყოფილ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია მიმწოდებელ კომიტეტის მოსამსახურეთა კრება.

როგორც ვიცით ამ ბოლო დროს სათბობი მასალის (განსაკუთრებით შეშის) ფასმა ძალიან იმატა. მიუხედავათ ამისა ბევრ შეშის საწყობებში მრავალ არა არა საკადრისს მოვლენებს აქვს ადგილი.

შემოვიდა ერთი მოქალაქე და გადმოგვცა შემდეგი: მას უყიდია საჟენი შეშა, რომელშიაც 600 მანათი მიუცია. მისი გადმოზიდვა 50 მანათი დაჯდომია. მიუხედავათ ამდენი ხარჯებისა შეშის გამყიდველს საჟენზე ბევრათ უფრო ნაკლები მიუყიდია მოქალაქისათვის.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ არასასურველ მოვლენებს.

## ბონების საბეჭდავ ქარხნის აღმოჩენა

კვირას, 25 აგვისტოს, ღამის 11 ს. და 15 წ. გოლოვინის პროსპექტზე, სასტუმრო „ბელვიუს“ გვერდით მყოფ კაფე „მარსის“ პატრონმა შენიშნა, რომ გვერდით მყოფ ბიხოვის ხრომოლიტოგრაფიის სარდაფში, სწორედ კაფეს ქვეშ, საბეჭდავი მანქანა მუშაობდა ღამე, ჩვეულების და წინაალმდეგ. მას ეგონა, რომ ღლისით ლიტოგრაფიის მომუშავეებს მანქანა არ შეეჩერებინათ და რადგანაც შეეშინდა, რომ რაკი უსაქმოდ მომუშავე მანქანა გახურდებოდა და ამიტომ მოსალოდნელი იქნებოდა უბედურება, გამოვიდა გარედ, დაუძახა მეზობლებს, რათა ჩასულიყვნენ სარდაფში და საბეჭდავი მანქანა შეეჩერებიათ ამავე დროს ლიტოგრაფიის პატრონთან, ბიხოვთან საპიორთა ქ. № 33, აფრინა კაცი დასაძახებლათ, ამასობაში ტროტუარზე ხალხმა მოიყარა თავი.

ამ დროს გზათ მომავალმა ყოფილ დამცველ შტაბის უფროსის თანაშემწემ კოლა ყიფიანმა, სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ყოფილ თანაშემწემ ნიკოლოზ შელიამ და მე-9 ნაწილის უფროსმა მილიციონერმა ტარიელიშვილმა ყურადღება მიაქციეს ამ მოვლენას და მიუახლოვდნენ ხალხს და როცა შეატყვეს რაში იყო საქმე, გადასწყვიტეს სარდაფში ჩასვლა. ამავე დროს მოვიდა თითონ ბიხოვი, რომელმაც კარები გააღო და ზემოაღნიშნულ პირებთან ერთად შიგ შევიდნენ. სარდაფში ჩასვლისას კიბეზე

## შუაღამის არიები.

### 1. საუკუნოდ მშვიდობით

ვიოლეტას არია „ტრავიატა“-დან.

მშვიდობით ჩემო საუკუნოდ ოცნებავ ბედზე.
მე ვიღუპები როგორც ვარდი თავხედ გრიგალში...
რარიგ უყვარდა გულს ოდესღაც ფიქრი ალფრედზე,—
ბედნიერება რარიგ სჩანდა მზის მადრიგალში!..
გაქრა... წავიდა ყველაფერი!..
ღმერთო ძლიერო!
ისმინე ლოცვა, მაპატიე ჩემ დღეთა კრება
გზადაბნეული...
ო უფალო, გთხოვ ლმობიერო!..
მშვიდობით ყველას! ახ მშვიდობით... —
სიცოცხლე ქრება...

### 2. პაემანი ავდარში

აყვავებულ სულში სუნთქავს სიმაისე.
ოთახს ღიახ ვსტოვებ. არ ჩავკეტავ კარებს.
ტყე და ხეივნებში სტირის წვიმა ისე,—
თითქოს მეძახის და ფანჯრებს აწანწკარებს...
აყვავებულ სულში სუნთქავს სიმაისე.
გული ძვირფასს ელის. აქ ძვირფასი მოვა.
არლეკინი ნახავს მიჯნურ კოლომბინას,
მაგრამ ეს შოფშოფი ცამ რად ჩამოსთოვა...
ახ თუ ვერ მოაგნოს მგოსნის ნისლიურ ბინას.
გული ძვირფასს ელის. აქ ძვირფასი მოვა.
სერენადით გველრი უხილავი ქმარი.
მოდი, ნუ დასტოებ დიდხანს ღია კარებს,
თორემ მარტოობით ღამის ყრუ სიზმარი
შეციებულ ბაგეს ჩემ სულს მიაკარებს...
სერენადით გველრი უხილავი ქმარი.
აღარ მოხვალ ვიცი! სულს უმატებ გუმანს.
სამიულობს თქეში ავდრის ტრიოლეტად.
აატირებ გუნოს, მასსენეს და შუმანს,
კიდევ უფრო ვერდის, ლურჯფერ ვიოლეტად!
აღარ მოხვალ ვიცი! სულს უმატებ გუმანს!

შალვა ქარმელი.

ბიხოვმა გამოურკვეველ მიზეზით რევოლვერი გაისროლა ერთხელ. შიგ რომ ჩადიოდნენ მანქანა გაჩერდა. სარდაფში აღმოჩნდა 4 კაცი, რომელნიც მიწის თანაბრად ეზოსკენ გაკეთებულ რკინის ბადიან ფანჯარის ქვეშ დამალულიყვნენ. ეს პირნი ეზოს მხრიდან ამოიყვანეს მაღლა მას შემდეგ, რაც ფანჯარის რკინის ბადე აჰხადეს.

საბეჭდავ მანქანაზე აღმოჩნდა გამზადებული კლიშე ხუთ თუმნიან ბონების დასაბეჭდათ და უკვე დაბეჭდილი 50 მან. ბონი. სარდაფშივე იყო 4 დამზადებული კლიშე ხუთ თუმნიან ბონების ნახატის სხვა და სხვა ფერებითა და და ფიგურებით, ბონების მბეჭდველნი აღმოჩნდენ ვლადიმერ დიმ. ჯიბლაძე, მე 3 კომისარიატის ყოფილი უმცროსი მილიციელი ალექსანდრე საყვარელიძე, რომელიც, როგორც გადმოგვცეს წინად ბონების სახელმწიფო ექსპედიციაში მუშაობდა, არჩილ სადერჯანოვი და ზაქარია ხმალაძე. ყველა ესენი სემ. ის ბიხოვთან ერთად გაძლიერებული კონვოით მილიციის უფროსის სამმართველოში წაიყვანეს, გზა და გზა აჩერებდნენ ეტლებს და გამვლელთ.

დაბეჭდილი აღმოჩნდა 211 ფურცელი, რომლიდგან თვითეულზე 11 ცალი ხუთ თუმნიანი იყო, სულ 116,050 მანეთისა და რამდენიმე გაფუჭებული საცდელი ფურცელი. ამ საქმის გამო დააპატიმრეს აგრეთვე პორ. ტოლშუზინი და ლიტოგრაფიის გრავიორი დავ. ნეიმანი, ყველა ამათი ბინა გაჩხრიკეს, მაგრამ მეტი ვერაფერი აღმოაჩინეს. წინასწარ გამოძიების მთელ ღამეს ხელმძღვანელობდა პირადად მილიციის უფროსი აპოლონ ურუშაძე.

გამოძიება გადაეცემა პროკურორს. დაკავებული ბონები სრულებით არაფრით განირჩევა ნამდვილისაგან და სპეციალისტების აზრით მათი კლიშე ახლად კი არ არის ამოჭრილი, არამედ სპეციალურ საშუალებით გადაღებულია ლიტოგრაფიის ქვაზე.

## არეულობის ჩაქრობა.

### სოფ. ხრეითი.

ეს ერთი ხანია ხმა გავრცელდა, რომ სოფ. ხრეითი (ჭიათურის რაიონშია) განზე გადგა, მთავრობას აღარ ემორჩილება და ბოლშევიკობსო. ჭიათურის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვერ შესძლო ამბოხებულნი დაემორჩილებია და უმაღლეს მთავრობას აუწყეს სოფ. ხრეითის უწესრიგობა და მოითხოვეს ძალა მის დასამშვიდებლად. სოფ. ხრეითი აკრავს შავი ქვის სამეფოდ წოდებულ სოფლებს და ნივთიერად ღონიერია. რა ნიადაგზე წარმოიშვა უწესოება და რა იყო მისი უმთავრესი ნამდვილი მიზეზი? აი კითხვა რომელიც ერთობ საინტერესოა, უცხო ელემენტების საქართველოს ნიღაბოსან მტრების სისინი და ქადაგს ხრეითში ადგილი არა ჰქონია. აქ წყალი აამღვრიეს ციხიდან განთავისუფლებულმა ყაჩაღებმა ე. ი. ხრეითის ამბები მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირების საქმე იყო. ძველი ყაჩაღები ხალხს არწმუნებდენ, რომ დღეს დღეობით ჩვენ მთავრობა არა გვყავს და ის მთავრობა კი რომელიც თბილისშია ხალხის მტერია და თათრები მოყავსო. გულუბრყვილო ხალხმა იწამა პროვოკაცია და გაიძახოდა, რომ ჩვენი მთავრობა ვინ არის არ ვიცითო. ხრეითში წესრიგის დასამყარებლად აგვისტოს 25-ს იქ გაემგზავრა პოლკ. იშხნელი მეოთხე ბატარეის ნაწილით ცხენოსანი რაზმით და ქვეითა ჯარით. მთავრობის ჯარი 10 საათზე შევიდა სოფ. რგანში და განაგრძობდა წინსვლას ამ დროს მთებში ასტეხეს სროლა. სულ გავარდა 10 15 თოფი, ესენი იყვენ გავარდნილი ავაზაკები, ხერითის ამბების მეთაურები. მთავრობის ჯარის წინ სვლა არ შეუჩერებია, ხოლო ამავე დროს პოლკ. იშხნელმა რგანში ზარბაზნები დაადგმევინა და რამდენიმეჯერ ესროლა სოფ. ხრეითს. შემდეგ ხრეითელები პურმარილით შეხვდნენ მთავრობის ჯარს და პოლკ. იშხნელს განუცხადეს სრული მორჩილება. ამბობენ ხრეითში შეიარაღებული 100 მდე კაცი არისო, მთავრობას ჯარს არსად შეხვედრია შეიარაღებული ძალაწ. აგერ— ეგერ მთებიდან ისროდენ თითო ოროლად, ავაზაკები მიიმალენ მთებში. ხალხმა იშხნელის თანადასწრებით ყრილობა მოახდინა და დაადგინა მთავრობასთვის იარაღი ჩაებარებინა. ჯარის უფროსმა იშხნელმა ხრეითის ამბები დამთავრებულად ჩასთვალა და ამის გამო ზარბაზნები, ცხენოსანთა რაზმი და მეთოთხმეტე პოლკის ნაწილი უკან გამოაწვია, მხოლოდ ავაზაკების შესაპყრობლად და იარაღის შესაგროვებლად ხრეითში დასტოვაჯ არის ერთი ნაწილი.

ირაკლი.

## მეოთხე ბატარეის ჩამოსვლა.

აგვისტოს 27-ს ქუთაისში დაბრუნდა 1 საარტილერიო ბრიგადის მეოთხე ბატარეა. ეს ბეტარეა 25 მარტიდან ფრონტზე იმყოფება. პირველად მე 4 ბატარეა ზეკარისაკენ იყო, ხოლო აქედან იგი გაგზავნილ იქნა „საჩხერის ფრონტზე“ ზეკარშიც და საჩხერეშიც მეოთხე ბატარეამ თავი ისახელა თვისი დისციპლინით და სიმამაცით.

იყო დრო როდესაც ქვეითა სხვა ჯარი ჯერ არ შემდგარიყო, აი, ასეთი დროს მეოთხე ბატარეის ჯარისკაცები მედგრად იდგენ მოვალეობის სიმაღლეზე და საჭიროების დროს ასრულებდენ, როგორც ქვეითა ჯარის კაცის მოვალეობას ისე ცხენოსანისას და არტილერისტისას.

პირველ ხანებში ამ ბატარეიაში ჩაეწერა მოწაფეობა და სტუდენტობა, რომელმაც ჩინებულად განასახიერა ნამდვილი ჯარისკაცი.

იყვნენ ისეთები რომლებიც მეოთხე ბატარეას, როგორც მარტო ინტელიგენციისგან შემდგარს იმ ხანად ალმაცერად უცქერდენ, მაგრამ მეოთხე ბატარეამ საქმით დაუმტკიცა ყველას რომ ინტელიგენციას შეუძლია ქვეყნის სამსახურის ჯარის კაცის სახით) განსაცდელის ჟამს.

განსაცდელის ჟამს, მეოთხე ბატარეის გაწრთვნაში და სახელის მოხვეჭაში დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის ამ ბატარეის კომანდირს პოლკ. იშხნელს და მის ოფიცრებს.

იშხნელმა თავის ოფიცრების თანამშრომლობით საერთო რღვევის და ნგრევის ხანაში სასახელოდ გაწვრთნა და მამაც ერთგულად აქცია ეს საარტილერიო ნაწილი.

ინტელიგენტი ჯარისკაცები დიდი მადლიერია იშხნელის როგორც კარგი სამხედრო მასწავლებლის. საჩხერის ოსურ ბრბოს წინააღმდეგ გამარჯვების დროს სადაც ბატარეიას თავს დაეცენ. მაგრამ ის იშხნელმა თავისებურ გმირულ მოქმედებით გადაარჩინა. ჯარისკაცებმა მოითხოვეს ებრძებიათ იშხნელისათვის და ოფიც. ზნამენსკისთვის წმ. გიორგის ჯარის კაცის ჯვარი, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. უკანასკნელად დროს მეოთხე ბატარეის ნაწილი იყო ხრეითში სადაც ენერგიულად და შესაფერისად შეასრულა თავის მოვალეობა. ქუთაისში ჩამოსულ მეოთხე ბატარეიას თავის მიმართვაში იშხნელმა სხვათაშორის უთხრა: თქვენ ხართ მეოთხე ბატარეის ჯარისკაცები. მთელ საქართველოში სახელ განთქმული და მე მწამს, რომ თქვენ ყოველთვის იქნებით ნამდვილი ჯარისკაცები მტრის თვალის დასაყენებლად და მოყვრის გასახარებლადო!

ირ.

## სენაკის ქალაქის თვითმართველობაში.

გასული წლის ოქტომბერში სენაკის ქალაქის გამგეობამ შეიძინა სენაკის სამეურნეო საზოგადოებიდან მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლათ 800 ფუთი ხორბალი, ფუთი 8 მანეთ-ნახევრათ. აქედან, სამაზრო კომისარმა, ადგილობრივ მდგომ ჯარისათვის 200 ფუთი გამოართვა, ხოლო დანარჩენი, ქალაქის თვითმართველობამ შეინახა ზაფხულისათვის. მიმდინარე წლის ივნისში ამ ხორბლის გაყიდვა ფუთისა 60 მანეთად დაიწყეს. ამან ბევრიააშფოთა და ერთმა შეკითხვაც კი შეიტანა გამგეობა-

ში, თუ რატომ ყიდიან ასე ძვირათ და მოგებით ხორბალს და ამას გარდა შეიძინა გამგეობამ ხორბალი თუ არა.

გამგეობის წევრებმა უპასუხეს, რომ ისინი ახალი შესული არიან და არ იციან საქმის მდგომარეობა. ქალაქის თავი კი თბილისში იყო. შემკითხველმა მიმართა ძველ გამგეობის წევრს **სოლ. ადანაიას** (ს. რევ.) მან უპასუხა, რომ ეს მისი საქმე არაა, და ყოველივე ანგარიში წიგნში სწერია. შემკითხველმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს **რაჟ. გამსახურდიას** (ს. დემ). რომელმაც გამგეობის წევრთა გამოკითხვის შემდეგ უთხრა, რომ ანგარიშის წიგნი ქალაქის კასაში არის შენახული, ხოლო გასაღები კი ქალაქის თავსა აქვს თბილისშიო.

როცა ქალაქის თავი **პოლ. ლორთქიფანიძე** (ს. დემ.) ჩამოვიდა, მას მოსთხოვეს პასუხი. ქალაქის თავმა გაიკვირვა, გასაღები აქ იყო, ჩემს ამხანაგს **ალექსანდრე მხეიძეს** (ს. ფედ.) ქონდაო. რაც შეეხება ხორბლის ძვირათ გაყიდვას, იმიტომ ვყიდით ასე ძვირათ რომ საწყობებში გადმოტანა ძვირად დაგვიჯდაო და ისიც სთქვა რომ „პური საფუფუნო საგანიაო (?)“. ამიტომ გავაძვირეთო.

მოიწვიეს საბჭოს კრება. კრებამ არ გაამართლა ქალაქის თავის ნაბიჯი. ამის შემდეგ გამგეობის წევრებმა: **გ. ჯაკობიამ** (ს. ფედ.) **ალექსანდრე მხეიძემ**, (ს. ფედ.) და ქალაქის თავმა თანამდებობას თავი დაანებეს.

გამგეობის კრიზისის გამო შესდგა საბჭოს კრება, რომელსაც 17 ხმოსანი დაესწრო. საკითხი იყო ქალაქის გამგეობისა და თავის გადადგომის შესახებ. კრებაზე **ივ. ხოფერიამ** (ს. დემ.) აღნიშნა რომ „ის რვა მანეთი, რომლითაც გამგეობამ ფუთი ხორბალი შეიძინა, დღეს აღარ რვა მანეთობს. ამიტომ სამართლიანია ნაბიჯი, გამგეობის მიერ გადადგმული, ფასის აწევის შესახებ. მას სწორედ 60 მანეთად უნდა გაეყიდა ფუთიო. **თეოფ. კალანდარაშვილი.** (ს. დემ.) აქ ორი აზრი არის, ერთი ის რომ გამგეობა დამნაშავეა და საჭიროა თავის ნებით გადამდგარ გამგეობის ნაცვლად, ახლის ამორჩევა, და მეორე ის, რომ გამგეობა მართალია, ამიტომ საბჭომ უნდა დაადგინოს სთხოვოს გადამდგართ დარჩენ ადგილზე. საჭიროა კენჭის ყრა.

თავმჯდომარემ ამ საკითხს კენჭი უყარა. ოქმში აღნიშნულია, რომ თანამდებობაზე დარჩენას ხმა მისცა 9 წევრმა, ხოლო დანარჩენი 8 ხმის შესახებ არაფერია ოქმში მოხსენებული, არც თავის შეკავება, არც წინაალმდეგობა.

ნეტა სად არის ის 8 ხმა?..

ქალაქის თავი თანამდებობაზე დარჩა, ხოლო გამგეობის წევრებად აირჩიეს: **კ. ანჯაფარიძე** (ს. დემ.) და ნ. შონია (ერ. დემ.) ასეთი უწესრიგობაა ქალაქის საბჭოში, ხოლო მცხოვრებნი ისევ გაჭირვებას განიცდიან.

**ვ. გამყრელიძე.**

## ცხოვრება გაჭირდა.

ცხოვრების პირობები დღითი დღე უარესდება; სასტიკ, შეუბრალებელ ხასიათს ღებულობს, არავის არინდობს, ყველას მუხრუჭს უჭერს. დღემდის თუ იმედით ვცხოვრობდით, დღეს ეს ერთად ერთი საშუალებაც ხელიდან გვეცლება. აღარავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ვაჭრები საქონლის გაიაფებას არ ფიქრობენ და სოფლის ხალხი—სანოვაგისას. მეხუთე წელიწადში გადავდექით, რაც ქალაქი და სოფელი ერთმანეთს დაეჯიბრა და უიარაღო ომს აწარმოებენ. ცალ-ცალკე ორივე თავს მართლულობს, საზოგადოების წინაშე პირნათლად უნდათ გამოვიდნენ. პირველი ამბობს: ფაბრიკა—ქარხნები დაიკეტა, გზები მოისპო საქონელი აღარ მოდის და რა ჩვენი ბრალია, რომ ძვირად ვყიდითო. მეორენი გაიძახიან: ჩვენთვის საჭირო ნივთები, იაფათ გვაყიდვიეთ და სანოვაგეს ჩვენც იაფად გავყიდითო- თავის ანგარიშით ორივე მხარე მართალია და საერთოდ კი ორივე—მტყუანი. კაცის ბუნება თუ ანგარებამ შეიპყრო ისე შორს-წავა, რომ მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება ძნელი საქმე იქნება. აგერ უკვე მეხუთე წელიწადში გადავდექით, რაც ვაჭრები და სოფლის ხალხი ამ ავადმყოფობას შეპყრობილი ჰყავს. ანგარების მანია, გამდიდრების სურვილი, მათ ძვალსა და რბილში აქვსთ გამჯდარი და ათასი კაი მოსავალი იქნეს სოფლად და ბევრი საქონელი მოუვიდესთ ვაჭრებს გასასყიდათ, ისინი მაინც არაფერს არ გააიაფებენ და მომხმარებელი საზოგადოება ტანჯვას და ცხოვრების—სიდუხჭირეს თავს ვერ დააღწევს. ერთად ერთი ხსნა მთავრობის ხელშია, მაგრამ, საუბედუროდ მთავრობა რადიკალურ ზომებს არ ხმარობს, სოფლის ხალხს ეფერება, გადასახადებს არ ახდევინებს, სანოვაგეზე ფასს არ აწესებს და ვაჭრებთან ბრძოლაში კი ვერაფერს გახდა და ისევ ის ამჯობინა მათთვის თავისუფალი ვაჭრობის ნება მიეცა. ასეთ ყოფაში ჩავარდნილ ხალხს თავი მობეზრდა, სიცოცხლე შეძულდა, ერთობა მოძაგდა და როგორ დააღწიოს თავი ამ გვარ გარემოებას თითონაც არ იცის. სწორედ ამ ნიადაგზე ხდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ამბოხება და უწესოება. ამ უწესოებას მთავრობა იარაღით უსწორებს ანგარიშს რაც უფრო აბრაზებს ხალხს და უკმაყოფილებას ბადებს მასში. თუ დიდ ხანს გაგრძელდა ცხოვრების ასეთი სიდუხჭირე საზოგადოების დანარჩენი ნაწილიც ჩაებმის საერთო ფეხრულში და მაშინ არ ვიცი ვინ და რითი უნდა დაამშვიდოს მთავრობამ. და რომ ეს არ მოხდეს და კატასტროფამ თავი არ იჩინოს. აუცილებლად საჭიროა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, თავისუფლება უამისოდ ფუჭია. ვგონებ ეს საანბანო ჭეშმარიტება ყველა უნდა ესმოდეს და მითუმეტეს მთავრობას...

**მ. ბუაჩიძე.**

## კორესპონდენცია.

**მაღლაკიდან.** სოფელ მაღლაკში და მის მიდამოებში ამ უკანასკნელ ხანებში ავაზაკობა და ძარცვა გლეჯა ძალზე გახშირდა. ღამე ისე არ გავა ან მგზავრებს, ან და მცხოვრებლებს თავს არ დაესხან და ყველაფერი არ გაიტაცონ. იყო ისეთი შემთხვევები როდესაც ავაზაკები შეცვინდენ ოჯახებში, სცემეს მასპინძლებს დაჩხრიკეს ყველაფერი, წაიღეს რაც ნახეს და შემდეგ არხეინად გზას გაუდგენ. საწყალი გლეხები, რომელთაც ორიოდე გროში დიდი გაჭირვებით მოუგროვებიათ ცნობილობენ ავაზაკ-თავდამსხმელებს, მაგრამ მათ ვინაობას ვერ ამჟღავნებენ, რადგანაც გაფრთხილებული არიან, და თუ რომელიმე გაძარცული თავდამსხმელის ვინაობას გამოამჟღავნებს,-იგი სასიკვდილოთ უნდა მოემზადოს. ამისთვის დაზარალებული გლეხები ხმას არ იღებენ და უბედურებას ძალა უნებურათ ურიგდებიან.

მძარცველებისგან ცხოვრება გასჭირდა და მათ წინაალმდეგ ენერგიული ზომები თუ არ იქნა მიღებული, გლეხობას მატერიალური განადგურება მოელის.

პირნახულის მოსავალს როგორც მაღლაკში ისე მის ახლო მდებარე სოფლებშიდაც მეტად კარგი პირი უჩანს. გლეხების გადმოკემით მოსავალს ამ რაიონში ასეთი კარგი პირი არასოდეს არ უჩანდა და წელს თვითეულ გლეხს აუცილებლათ რამდენიმე წლის სარჩო მოუვა თუ ამინდებმა ხელი შეუწყო და გამუდმებულმა წვიმებმა ხელი არ შეუშალა.

სიმინდის ნაკლულობით წელს დიდი შიმშილობა იყო, მაგრამ გლეხობა ახალი სიმინდის ხმარებას უკვე შეუდგა. ბევრ ეზოებში მზეზე უკვე გაფენილია ბაზი სიმინდი და ხელოვნურად ახმობენ, რომ როგორმე ახალ მოსავლამდის გამოიკვებონ.

ერობის არჩევნები როგორც ზედა მაღლაკში ისე ქვედა მაღლაკშიდაც რაღაც „მახინაციების“ გამო ჯერ არ მომხდარა. ორჯერ იყო დაბარებული ხალხი მაგრამ ყუთი არსათ გამოჩნდა. რაშია საქმე არავინ იცის. ამ რაიონში ერობის არჩევნები უკვე დასრულდა და რათ ჭრთმევენ ხსენებულ სოფლებს არჩევნების უფლებებს ვერ გამოგვირკვევია. გლეხობა საერთოდ პარტიებს უნდობლობით ეპყრობა.

ყოველ ფეხის გადადგმაზე გლეხებისაგან გაიგონებთ! ჩვენ არ გვინდა არც ერთი პარტია, ვიცით მათი დაპირებანი როგორ სრულდება და ჩვენ სულით და გულით ისეთ პარტიას მივენდობით, რომელიც ჩვენს მოწყობილ ოჯახში არ შემოიჭრება და ჩვენს საკუთრებას ხელს არ ახლებსო.

ასეთია სულის კვეთება არა მარტო ჩვენი სოფლის გლეხებისა არამედ მთელი საქართველოისა და აქედან აშკარათ სჩანს როგორი სოციალისტები არიან ჩვენი გლეხები, მაგრამ სამწუხაროთ ეს ვერ შეიგნეს სოციალისტურმა პარტიებმა და თავისი ლამაზი სიტყვებით და დაპირებებით ზოგიერთებს კიდევ ატყუებენ.

**ზემო მაღლაკელი.**

## იმედი.

(პასუხად „ამაოების“ ავტორს.)

გული იმედებით სავსეა.

ეხლა უფრო მამაცურად ძგერის ვიდრე ოდესმე.

იგი გასალკდევებულია.

სული კი სპეტაკ ფერიის მსგავსად განწვედილი, ოცნების მორევში ცურავს, ნავარდობს, თავისუფალ სამშობლის ეტრფის, გარს უტრიალებს.

მომავლის გზას იმედებით აშუქებს და სიხარულით გაბრწყინვალებული წინ მიდის, წინ!

იგი ყველას ყველაფერს უჯერის.

მას ყველაფერი სჯერა მეგობარისა, მოძმისა და მოყვასისა.

იგი მტკიცე მორწმუნეა სიმართლისა, ბატიოსნებისა და სიყვარულისა.

იგი ბრმა მოტრფიალეა კაცის ადამიანობისა.

მიტომაც სწამს, რომ მეგობრობა სულელთა ზღაპარი კი არ არის-ადამიანების კეთილშობილ გრძნობების კავშირთა სიმტკიცეა, რომელსაც სიყვარული არამც თუ სწამლავს, არამედ ბრწყინვალე სხივებით აშუქებს მას და სიცოცხლის შემკაველ ნექტრად ეფინება ადამიანს.

წმინდა და ნაზ სიყვარულში იჭედება კაცი, ადამიანი.

წმინდა სიყვარულშია ადამიანის ღრმა ღვთაებრიობა.

სიყვარულია მაღალი, უზენაესი მცნება და მიუწდომელი ძალა ღვთიური სახიერებისა.

სიყვარულის სიღრმის ძიებაში იწვრთნება ადამიანის გონება, აზრი, ცხოვრების მიზანი.

სიყვარულის მიზნისადმი მისწრაფებაში ვითარდება მთელი ადამიანის არსებობა, ვანცდა, ტანჯვა, სიხარული.

სიყვარული წამალია კაცის ადამიანად გადასაქნელ გადასაკეთებლად ბუნებისაგან ჩვენსკენ გადმონაჩქეფი.

იგი არ არის საწამლავი.

სიყვარულისათვის არ არსებობს არც სირცხვილი.

სიყვარული ის სინათლეა, რომელიც ყოველისფერს ანათებს.

ის სითბოა, რომელსაც შეუძლიან ყინულიც დაადნოს.

იგი თაფლია, რომელიც არამც თუ სწამლავს, ყოველს სიმწარეს აგემრიელებსო, ამბობს მანტეგაცი. ბუნება ორგანიული არსია.

იგი თვით მოსპობის გზას არ ადგია და მაშასადმე მას არც არავის მოწამლვა აქვს სახეში..

წუთი სოფლად ცხოვრება უმიზნო არ არის.

მისი მიზანი სახიერობის მარადისობაა. იგი ზოგადია და არა პერსონალური-ინდივიდუალური.

მაშ, როგორც აგეთს, დიადი აზრიც აქვს,—სახიერობის მარადისობის შექმნა-განმტკიცება.

ყოველ გვარი იმედი ქვაკუთხედია მოქმედებისა.

მოქმედება კი მხოლოდ ცდილებია, დამყარებული იმედზე, მაშ იმედი ფუჭი არ უნდა იყოს.

დღემაწამულ მშვენიერების უკვდავება და სრული ბედნიერება ჯერ არავის უნახავს.

დიახ, მართალია, მაგრამ ნუ თუ, სწორედ, ამ წუთიერ ცვლილებაში, ამ მშვენიერების უხანგრძლივობაში არ იხატება სიმშვენიერე, სილამაზე და მარადისობაც, სწორედ ეს უსრულბედნიერება არ არის იმავე დროს სრული ბედნიერებაც?!

როდესაც სიმახინჯე ებრძვის სილამაზეს, სიკეთე ბოროტებას, ბედნიერება უბედურებას, მარადისობა წუთიერობას და ამ ბრძოლაში გამარჯვებული, თავის გამარჯვებას, უპირატესობას, დღესასწაულობს, ნუ თუ ეს ბედნიერება არ არის?!

როდესაც კეკლუცი გაზაფხული ცივ და მკაცრ ზამთრის შემდეგ ადამიანს მოევლინება, ეკლებით შემოჭედილ ღეროების მაგიერ, ქუჩუჩა ვარდები გულ-მკერდს გადაგვიშლის და საარშიყოთ, ტუჩების ამოსაწუწნად, თვალს დაგვიქნევს და მიგვიპატიჟებს, ნუ თუ ეს სიმშვენიერე არ არის ანდა მაღალს სიამოვნების სიტკბოებას არ იწვევს ადამიანში?!

— მერე?

ეს ვარდი, რომ სულ ასე გაშლილი ყოფილიყო, ანდა ადამიანს არ ენახა არც სიმახინჯე, არც ბოროტება, არც უბედურება და არც წუთიერება, მაშინ ბედნიერებას ან სიმშვენიერეს, თუ გინდა ისინი ხანგრძლივიც ყოფილიყვენ, ექნებოდათ განა, რაიმე შნო, სილამაზე, სიტკბოება ან მარადისობა?!

არა.

და აი, სწორედ, ამ ცვალებადობაში, ამ ერთი მეორის მცნების მარადის მეცვლა-გამოცვლაში არის ბედნიერებაც და სიმშვენიერეც.

მაშ, თუ ბედნიერებაც ყოფილა და სიმშვენიერეც, შორს ჩვენგან ამაოებავ, სასოწარკვეთილო წუწუნო, კვნესა-გოდებავ!

კვლავ აყვავდეს იმედი!

ბრწყინვალე იყოს ჩვენი წინსვლა, სამშობლოს პროგრესი!

**თეოფ. ხუსკივაძე.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

---

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან
საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

პირდაპირი № 9 დილის 5 საათ. 30 წ.
საფოსტო — 3 დღის 8 — 30 —
სამგზავრო — 23 საღამოს 8 — 10 —

**ფოთ-ბათომიდან.**

სამგზავრო № 24 დღის 2 საათ. 20 წ.
საფოსტო — 3 ღამის 10 — 18 —

**ტყიბულიდან.**

საფოსტო № 3 დილის 8 საათ. და 15 წ.

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

პირდაპირი № 10 საღამოს 8 საათ. 25 წ.
სამგზავრო — 24 ღამის 12 — 40 —
საფოსტო — 4 დილის 8 — 45 —

**ფოთ-ბათუმისკენ.**

საფოსტო № 3 დილის 7 საათ. 10 წ.
სამგზავრო — 23 საღამოს 6 — 40 —

**ტყიბულისკენ.**

საფოსტო № 4 დღის 4 საათ. — —

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.